ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ირინა დვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მისია მდგომარეობს მოსწავლეთათვის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული, ქართულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული განათლების მიცემის გზით დამოუკიდებელი, სწორი ღირებულებების მქონე, მრავალმხრივად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ნებისმიერ გარემოში შეძლებენ საკუთარი თავის დამკვიდრებას.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა როგორც 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

1. სკოლის მისია და მის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები;
2. სწავლა-სწავლების პრინციპები (სამივე საფეხურის მიზნები და ამოცანები);
3. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები;
4. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები;
5. სკოლის საერთო კულტურა;
6. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება (სასწავლო წლის კალენდარი, სასკოლო საათობრივი ბადე, საგნობრივი კათედრები და მათი საქმიანობის სფერო, მიზნები და ამოცანები);
7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა;
8. სადამრიგებლო პროგრამა;
9. საგანმანათლებლო რესურსები;
10. ინკლუზიური განათლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

11. სასკოლო შეფასების სისტემა;
12. სავალდებულო და ფაკულტატური საგნები;
13. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
14. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესი;
15. სკოლის შეფასების სტრატეგია და ხარისხის შეფასების სისტემა.

სასწავლო გეგმის პროექტით წარმოდგენილი სასწავლო კალენდარი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობაა 36 კვირა, ხოლო I და XII კლასებისთვის – 33 კვირა.

საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ყველა ის საგანი (როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი), რომლებსაც სკოლა სთავაზობს თავის მოსწავლეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მეორე უცხოურ ენას-რუსულს მეორე კლასიდან და მესამე უცხოურ ენას- გერმანულს მე-7 კლასიდან, როგორც სავალდებულო საგნებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც სავალდებულო საგნებს, ასევე ფაკულტატურებს.

სავალდებულო საგნებია:

- კითხვის საათი (II-IX კლასებში)
- განმავითარებელი მათემატიკა (II-VI კლასებში)
- კულტურის ისტორია (II კლასში)
- სასცენო ხელოვნება (II-VI კლასებში)
- ძერწვა (II-VI კლასებში)
- ცეკვა (IVკლასში)
- ესგ-ით გათვალისწინებული ჭადრაკი ისწავლება II-VI კლასებში.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სპორტის 3 სახეობას: კალათბურთი, ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ცეკვა ისწავლება ფაკულტატური სახით.

საშუალო საფეხურზე არჩევით საგნებად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

- თეატრალური ხელოვნება;
- კინოხელოვნება;
- კომპიუტერული მეცნიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

VII-XII კლასებისთვის წარმოდგენილი სახელმძღვანელოები გრიფირებულია, ხოლო დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, შესაბამისად, სკოლამ მათი ჩამონათვალი ვერ წარმოადგინა.

სადამრიგებლო პროგრამა, შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია.

დასტურდება:

- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით (დანართი №1);
- დირექციასთან გასაუბრებით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების თემატური გეგმების პროექტები VII-XII კლასებისთვის და დამატებითი საგნების პროგრამები და თემატური გეგმები. დაწყებითი საფეხურის პროგრამები ვიზიტის დროისათვის არ იყო შემუშავებული, გრიფირებული სახელმძღვანელოების არარსებობის გამო.

სკოლაში ფუნქციონირებს და ახალი გეგმის თანახმად მომავალი სასწავლო წლიდან გააგრძელებს მუშაობას:

- ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა;
- მათემატიკის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა აერთიანებს: ქართული ენის, ინგლისური ენის, რუსული ენის, გერმანული ენის, გეოგრაფიის, ისტორიის, კულტ. ისტორიის, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პედაგოგებს.

მათემატიკის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა აერთიანებს: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნების, ისტ-ის პედაგოგებს.

სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა აერთიანებს: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, კინოხელოვნების (არჩევითი საგანი), მუსიკის, ჭადრაკის, ქართული ცეკვის, ბალეტის, სპორტის პედაგოგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

განსაზღვრულია კათედრების მუშაობის მიზნები და ფუნქციები. კერძოდ:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება /რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ./, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.) და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა და სათანადო გზების დასახვა;
- ფასილიტატორის კანდიდატურის შერჩევა მასწავლებლის შეფასების ჯგუფში;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფში წევრის წარდგენა;
- აქტიური თანამშრომლობა მასწავლებლის შეფასების ჯგუფთან და კათედრის წევრების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებით განსახორციელებლად;
- აქტიური მონაწილეობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში;

კათედრებს შემუშავებული აქვთ დებულებები, სამუშაო გეგმები, შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით.

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა ასევე 2017-2018 სასწავლო წელს შექმნილი მასწავლებლების პორტფოლიოები, რომლებიც სრული ინფორმაციას გვაწვდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

წარმოდგენილია მასწავლებლის პირადი მონაცემები, სასწავლო პროგრამები, თემატური და გაკვეთილის გეგმები, მოსწავლის ნამუშევრები, პროექტები, შემაჯამებელი და მიმდინარე ტესტების ნიმუშები ანალიზის ამსახველი დოკუმენტებით, შეფასების რუბრიკები, ანალიზი და სხვა სამუშაო დოკუმენტი.

2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა მონიტორინგის სისტემა, რომლის გაგრძელებაც იგეგმება ახალი სასწავლო წელსაც. კითხვარების საშუალებით სკოლის ადმინისტრაცია ადგენს, თუ რამდენად პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საჭიროებებს.

ექსპერტები შერჩევითი წესით გავეცანით რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ფორმას (წერითი/ზეპირი-პრეზენტაცია): ტესტი, თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი;

ყველა მასწავლებელს დაცული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა.

დოკუმენტაციის გაცნობის და რიგ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს სწავლების თანამედროვე, მრავალფეროვან მეთოდებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნები და საჭიროებები გათვალისწინებულია სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში. დამრიგებლების პორტფოლიოებში ინახება სადამრიგებლო საათით განსაზღვრული თემების და აქტივობების, ასევე სხვა ღონისძიებების ამსახველი მასალები.

2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის და 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ორივე გეგმა პასუხობს სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- მასწავლებლების პორტფოლიოებით;
- შემაჯამებელი დავალებებით;
- კათედრების პორტფოლიოებით;
- 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მასწავლებელთა მიერ შექმნილი თემატური გეგმების გაცნობის, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სწავლება მიმდინარეობს ყოველ მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე მეთოდებით. მასწავლებლები იცნობენ საკუთარი მოსწავლეების სწავლის სტილს და მეთოდების მრავალფეროვნებით ცდილობენ ყველა მათგანის საჭიროების დაკმაყოფილებას. სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობის პირობებს ქმნის მცირეკონტიგენტიანი კლასებიც. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთად განიხილავენ მოსწავლის ინდივიდუალურ ძლიერ და სუსტ მხარეებს და, საჭიროების შემთხვევაში, ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების სწავლებითაც სკოლა ცდილობს ყველა საგნის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად ხელი შეუწყოს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში.

სკოლას სასწავლო გეგმის პროექტში აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა მზადაა საჭიროების შემთხვეევაში მოემსახუროს მას.

დასტურდება:

- 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.
- 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:
სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია შეფასების ტიპები, შეფასების დონეები, კომპონენტები. გამოცდის სახეები და ჩატარების პროცედურები. ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევის დონეები. კათედრების მიერ შექმნილია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

დასტურდება:

- 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია მშობლის ინფორმირების წესი, კერძოდ, სკოლის დირექტორი:

1. ატარებს ყოველწლიურად მშობლებისათვის საგნობრივი პროგრამების დეტალურ პრეზენტაციებს და განმარტებებს აძლევს მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ;
2. ხელმძღვანელობს საგნის მასწავლებლების ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან წელიწადში ორჯერ;
3. ხელს უწყობს საგნის მასწავლებლებთან მშობლების არაგეგმიურ შეხვედრებს;
4. თანამშრომლობს მშობლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.

ხოლო კლასის დამრიგებელი:

1.სემესტრის ბოლოს (თუ მანამდე არ გამოიკვეთა მშობელთან შეხვედრის საჭიროება) დირექტორის მოადგილესთან ერთად გეგმავს საგნის მასწავლებლებისა და მშობლების ინდივიდუალურ შეხვედრას და აცნობს მას შვილთან დაკავშირებული აკადემიური მოსწრებისა თუ ყოფაქცევის საკითხებს, მიღწევებსა თუ გასაუმჯობესებელ მხარეებს.

2.სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ წერს თითოეულ მოსწავლეზე მოკლე დახასიათებას, რომელშიც აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას, პიროვნულ პრობლემებსა და ზოგად წარმატებებს, მის შესაძლო მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა რაიმე ღონისძიებებში და აცნობებს მშობელს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად და მშობლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- მშობლებთან გასაუბრებით;
- სადამრიგებლო პროგრამით;

1.6. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მისი შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის ხელმძღვანელობა, საგნობრივი კათედრები, კლასის დამრიგებლები, მოსწავლეები, მშობლები. პროცესი შედგება ეტაპებისგან. მონაცემთა შეგროვების წყაროებია: მასწავლებელთა დასწრების მასალები; საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია, მასწავლებლების პორტფოლიოები, ბიბლიოთეკის/კომპიუტერული ცენტრის რესურსები, კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, საგნობრივ კათედრებსა და კათედრებს შორის არსებული თანამშრომლობის ამსახველი მასალა; სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების გამოკითხვის მასალები. მონაცემთა საფუძველზე, ხდება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში სასწავლო პროცესი დამთავრდა 8 ივნისს, შესამისად, სასწავლო გეგმის შეფასების პროცესი, კერძოდ, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გაკეთება დასრულებული არ იყო.

დასტურდება:

- 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.
- მონიტორინგის კითხვარებით;
- კათედრების პორტფოლიოებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა)ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა (ს/კ 01.14.04.013.029) მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, 8ა. სკოლა განთავსებულია 1278 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებულ №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობებში - ერთ სამსართულიან (№1) და ორსართულიან (№2 და №3) შენობაში, რომელთა საერთო ფართია: 1024.19კვ.მ. (ს/კ 01.14.04.013.029).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IIIკვარტალი, 8ა ს/კ 01.14.04.013.029	მიწის დაზუსტებული ფართობი: 1278,00 კვ.მ. შენობა- ნაგებობა №1 საერთო ფართით 604,35კვ.მ. შენობა - ნაგებობა №2 და №3 საერთო ფართით 419,84 კვ.მ

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882017489538;
- საკადასტრო კოდით ს/კ 01.14.04.013.029;
- აზომვითი ნახაზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ბ)საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლაში არის 14 საკლასო ოთახი, 1 ლაბორატორია, 1 ბიბლიოთეკა, 1 ინგლისურის კაბინეტი, 1 ხატვის კაბინეტი, 1 ძერწვის კაბინეტი, 2 გასახდელი, 1 ლიტერატურული კაფე, 1 ექიმის ოთახი, 2 დაცვის ოთახი, 1 კომპიუტერების ოთახი, 1 დირექტორის კაბინეტი და 1ოთახი დირექციის წარმომადგენლებისთვის. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი სცენით და კულისებით, რომლებიც გამოიყენება თეატრალური წარმოდგენებისთვის, მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილებისთვის. ამ სივრცეში ტარდება სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობა.
სკოლა ფლობს 290 ერთადგილიან მაგიდასა და სკამს. ამ მაგიდების გარდა, სკოლის სხვადასხვა კაბინეტში განთავსებულია ორადგილიანი და სამადგილიანი მაგიდები და რბილი სკამები. სკოლას აქვს 11 პერსონალური კომპიუტერი და 5 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 2 პრინტერი, 2 პიანინო. სკოლა ფლობს, ასევე, სხვადასხვა საგნის მრავალფეროვან თვალსაჩინოებას.

საკლასო ოთახების ფართის გათვალისწინებით (ერთ ცვლაში), სკოლაში შეიძლება განთავსდეს 290 მოსწავლე.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- მიღება- ჩაბარების აქტით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს დიდი ეზო, რომელიც გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის (მინიფეხბურთი, სპორტი). სკოლის ტერიტორიას აკრავს მერიის მიერ გაკეთებული დიდი კომპლექსური სპორტული მოედანი, რომელსაც სკოლა საჭიროებისამებრ იყენებს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლას აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიები, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიის კაბინეტში. კაბინეტში განთავსებულია 6 სამადგილიანი მაგიდა და შესაბამისი რაოდენობის სკამები. ლაბორატორიული ერთეულები მოთავსებულია კარადებში. ოთახს აქვს დიდი ფანჯარა, რომლის გვერდით დამონტაჟებულია ონკანი. დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მუდმივად ანახლებენ რეაქტივებს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- დირექტორთან გასაუბრებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის, წყლის და გაზის მიწოდებით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს ყაზტრანსგაზ-თბილისთან", შპს ჯორჯინ უოთერ ენდ ფაუერთან და სს თელასთან. სკოლის ორივე შენობის პირველ სართულებზე განთავსებული სველი წერტილებიდან ერთ-ერთი ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. საერთო ჯამში ყველა სართულზე დამონტაჟებულია 11 სველი წერტილი ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავს 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებს. დირექცია ელოდება 2018-2019 სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულ ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს დაწყებითი კლასებისთვის, რომელთა სიაც ჯერ არ გამოქვეყნებულა. საერთო წიგნადი ფონდი მოიცავს 871 ერთეულს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის ლიტერატურულ კაფეში განთავსებულია ასევე „თავისუფალი" წიგნები, რომლებიც მოსწავლეებს, მასწავლებლებს მოაქვთ სკოლაში, რათა სხვებმაც ისარგებლონ. ლიტერატურულ კაფეში ხშირად ტარდება სხვადასხვა ნაწარმოების განხილვა და დისკუსიები .

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;
- გადახდის ქვითრებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას აქვს მოსახსნელი პანდუსები და 2 სველი წერტილი იმ პირთათვის, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, რომელშიც განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული 8 კომპიუტერი. საერთო ჯამში სკოლა ფლობს 11 პერსონალურ კომპიუტერს, 5 ლეპტოპს, 1 პროექტორს და 2 პრინტერს. ხელშეკრულება გაფორმებულია შპს კავკასუს ონლაინთან. სკოლის ვებგვერდია: www.igs.ge. სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია; ხედვა; შინაგანაწესი; 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ნივთების ჩამონათვალი; დღის განრიგი; დამატებითი სერვისები; გალერეა დ.ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც ამ ეტაპზე ბუნებრივია არ არის ატვირთული ვებგვერდზე. ხელშეკრულება დომენური სახელის სარგებლობის უფლების სარგებლობაზე გაფორმებულია შპს კავკასუს ონლაინთან.

დასტურდება:

- სკოლის ვებ-გვერდით: www.igs.ge.
- სკოლის ელფოსტით: contact@igs.ge.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ)სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ)წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაშიდაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც სკოლას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის შენობების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და კიდია შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრები. სკოლაში არის ექიმის ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. სკოლას ჰყავს 2 ექიმი. ორივე მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია დებულება, რომელშიც გაწერილია ექიმის ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები. ექიმმა წარმოადგინა ჟურნალი, რომელშიც შეტანილია ყველა იმ პირის მონაცემები, რომლებსაც დასჭირდათ ექიმის დახმარება. ჟურნალში აღწერილია ჩივილები, ობიექტური სურათი და გაწეული კონკრეტული დახმარება. შემუშავებულია და გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.
სკოლა უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო მექანიზმებით. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია 2-3 მექაპიქსელიანი სათვალთვალო ვიდეოკამერა. სკოლის ეზოში დამონტაჟებულია 4 კამერა, მათ შორის 1 აკონტროლებს სკოლის გვერდით მდებარე სპორტულ მოედანს, რომლითაც სკოლაც სარგებლობს. სკოლის შენობაში ყველა სართულზე დამონტაჟებულია თითო კამერა, საერთო ჯამში 7 კამერა. კამერები შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს.

სკოლას აქვს ბუნებრივ და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია დირექტორის 2016 წლის 1 სექტემბერის №16-23 ბრძანებით. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან გაფორმებულია ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ №23/8-157.

სკოლას ჰყავს დაცვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა გასვლა-შემოსვლასა და წესრიგის უზრუნველყოფაზე. სკოლის შიგნით წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია ზოგადი დებულებები; საქმიანობის სახე; სკოლის დირექტორის, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების, მასწავლებელთა (თანამშრომელთა), მოსწავლეთა და მშობელთა უფლება–მოვალეობები; სკოლის სამუშაო დრო; შრომის დისციპლინის საკითხები; თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით.
- დირექტორის ბრძანებით 2018 წ. 12.02.
- პედსაბჭოს ოქმით №01

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

სკოლას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციის მიზნისთვი სწარმოდგენილი ჰქონდა ერთწლიანი 2017-2018 სამოქმედო გეგმა და 2017-2022 განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი განვითარების გეგმა.
ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა განვითარების ერთწლიანი 2018-2019 სამოქმედო გეგმა და 2018-2023 წლების ექვსწლიანი/გრძელვადიანი განვითარების გეგმა. გეგმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას, განახლებასა და გაუმჯობესებას, კერძოდ, შენობის ეზოს განახლება, სასწავლო კორპუსის შიდა რემონტი, ბიბლიოთეკის სახელმძღვანელოებით აღჭურვა და სხვა.

დასტურდება:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- ექვსწლიანი განვითარების გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

- დირექტორთან და დირექციასთან გასაუბრებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის და დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე.

დასტურდება:

- საერთო ბრძანებების ჟურნალით;
- მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებების ჟურნალით;
- თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების ბრძანებების ჟურნალით;
- შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალით;
- გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალით;
- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების სარეგისტრაციო წიგნით (საკადრო და ზოგადი ბრძანებები);
- პირადი საქმეებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3. ადამიანური რესურსი

3.1. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურს

შეფასება:

სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობს სულ 52 თანამშრომელი: დირექცია (დირექტორი, 2 მოადგილე, ბუღალტერი), დამხმარე პერსონალი (საქმეთა მმართველი, ბიბლიოთეკარი, 2 ექიმი, 1 მნე, 1 დამლაგებელი, 3 მზარეული, 1 დაცვა, 4 მძღოლი), 30 მასწავლებელი და 8 კლასის დამრიგებელი. რამდენიმე დამრიგებელი და დირექციის წარმომადგენელი ამავე დროს საგნის მასწავლებელია.

გარდა ამისა, გამოცხადებულია ვაკანსია ისტ-ის მასწავლებლის პოზიციაზე.

25.06.2018 წლის მონაცემებით, სკოლაში რეგისტირირებულია 159 მოსწავლე. დაწყებულია პირველკლასელთა მიღება და მობილობის პროცესი.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა მათგანს უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია.

ერთ-ერთი მასწავლებელი არ არის ჩართული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". მიუხედავად იმისა, რომ მას 2012 წელს ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა და მოპოვებული აქვს ბუნებისმეტყველების (I-VI) მასწავლებლობის უფლება, მას არ აქვს მასწავლებლის სტატუსი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა კომუნიკაცია მასწავლებელთა სახლთან და გაგზავნილია წერილი, რომლითაც მოთხოვნილია მასწავლებლის ჩართვა სქემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

,,მე და საზოგადოების", ,,კულტურის ისტორიის" მასწავლებელს, ასევე არ აქვს მასწავლებლის სტატუსი. იგი გეგმავს გამოცდის ჩაბარებას.

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ბრძანებების წიგნით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი (III თავი), სასკოლო სანქციები და მასწავლებელთა წახალისების მექანიზმები.

დასტურდება:

სკოლის შინაგანაწესით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, დამხმარე პერსონალთან, შრომითი კანონმდებლობის წესის დაცვით, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 1 წლის ვადით.

დასტურდება:

- დირექტორის მიერ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლის მასწავლებლები ჩართულნი არიან „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში".

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

ექსპერტთა მიერ სკოლაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის სტრუქტურული ერთეულების, მატერიალური რესურსისა და ჩატარებული ღონისძიებების გაცნობის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნას სასკოლო საზოგადოებაში. პასუხისმგებლობები გადანაწილებულია როგორც დირექციის წევრებს შორის, ასევე პედაგოგებსა და მოსწავლეებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს უზრუნველყოფას.

სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ყველა წევრის უფლება-მოვალეობები, შესაძლებლობას აძლევს მათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. მოტივაციის ასამაღლებლად შემუშავებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების წახალისების მექანიზმები.

სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით დაწესებულებას ჰყავს დაცვის სამსახურის თანამშრომელი. სკოლაში კეთილგანწყობილი და თბილი ატმოსფეროს შექმნას ემსახურება შიდა სასკოლო ღონისძიებები, ლიტერატურული კაფე.

მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა-რეალიზებას ემსახურება სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო საგნები. სკოლაში შემუშავებულია კითხვარების ფორმები მოსწავლეთათვის, მასწავლებლებისა და მშობელთათვის, რომელთა მეშვეობითაც მათ ეძლევათ საშუალება, გამოხატონ საკუთარი აზრი სკოლაში არსებული მიმდინარე პროცესების შესახებ და წარმოადგინონ საკუთარი სამომავლო ხედვა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართვას სკოლის ცხოვრებაში და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით
- მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1 - 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი №2 სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა

ქ. თბილისი 27.06.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.